



## პროტოკოლი N3 ნახველის ნიმუშის აღება

**მიზანი:** ნახველის ნიმუშის სწორად და უსაფრთხოდ შეგროვება ლაბორატორიული გამოკვლევებისთვის

**სამიზნე ჯგუფი:** ყველა პაციენტი, ვისაც ესაჭიროება ნახველის ლაბორატორიული ანალიზი

**ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი:** პროტოკოლი განკუთვნილია ჰოსპიტალური და ამბულატორიული სექტორის პრაქტიკოსი ექთნებისთვის

### საჭირო აღჭურვილობა:

- ერთჯერადი, სტერილური კონტეინერი მჭიდრო თავსახურით;
- არასტერილური ხელთათმანები;
- სუფთა პირსახოცი ან საფენი;
- თირკმლისებური თასი;
- რესპირატორი;
- სახის დამცავი ფარი;
- შესაბამისი დოკუმენტაცია ლაბორატორიაში წარსადგენად;
- სპეციალური მარკერი, მინის ფანქარი.

## რეკომენდაციები

ექთანი უზრუნველყოფს ფილტვის ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისათვის აუცილებელი ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისათვის პაციენტის მიერ ნახველის შეგროვებას და ჩაბარებას. ამისათვის, ექთანმა პაციენტს უნდა განუმარტოს, რომ:

- ერთი გამოკვლევისათვის უნდა ჩაბარდეს სულ მცირე ორი ულუფა ნახველი;
- ნახველის ერთი ულუფა პაციენტმა უნდა შეაგროვოს სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტის დროს;
- მეორე ულუფა პაციენტმა სახლში, ვიზიტის მეორე დღით უნდა შეაგროვოს.

### სამედიცინო დაწესებულებაში ნახველის შეგროვებისას:

- ნახველი სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ და კარგად ვენტილირებულ ოთახში უნდა შეგროვდეს;
- ასეთის არარსებობის შემთხვევაში პაციენტმა ნახველი ღია სივრცეში (არახალხმრავალ ადგილას) უნდა შეაგროვოს;
- დახურულ სივრცეში (საპირფარეშო, ან აბაზანაში) ნახველის შეგროვება კატეგორიულად იკრძალება;
- ექთანმა პაციენტს უნდა მისცეს ამ პაციენტისთვის გამოყოფილი, წინასწარ მარკირებული სპეციალური ერთჯერადი, სტერილური, ჭურჭელი;

- ნახველის შეგროვების წინ პაციენტმა უნდა ღრმად ჩაისუნთქოს, ამოისუნთქოს, თან ამოახველოს და ნახველი სტერილურ ჭურჭელში მოათავსოს;
- ექთანმა პაციენტი უნდა გააფრთხილოს, რომ მან ამოხველებისას არ დასვაროს ჭურჭელი გარედან, არ შეეხოს ჭურჭელს შიგნიდან და ჩახველებისთანავე ჭურჭელს მჭიდროდ დაახუროს თავსახურით;
- ნახველი არ უნდა იყოს დაბინძურებული საკვები ან სხვა სახის მინარევებით;
- ანალიზის ჩასატარებლად აუცილებელია 3-5 მლ-ი ნახველი. მხოლოდ ნერწყვი ბაქტერიოსკოპიული კვლევისათვის საკმარისი არ არის.

**სახლში ნახველის შეგროვებისას:**

- ნახველის შესაგროვებელი, წინასწარ მარკირებული სპეციალური ჭურჭელი ექთანმა პაციენტს სახლში უნდა გაატანოს;
- ექთანმა პაციენტი უნდა გააფრთხილოს, რომ მან ნახველი დილით გაღვიძებისთანავე, პირის ღრუს დამუშავებამდე და საკვების მიღებამდე უნდა შეაგროვოს;
- პაციენტმა ცალკე ოთახში, ღია ფანჯარასთან უნდა ამოახველოს;
- მჭიდროდ დახურული, დაუბინძურებელი ჭურჭელი პაციენტმა სამედიცინო დაწესებულებაში იმავე დღის პირველ ნახევარში უნდა მოიტანოს.

ექთანმა შეგროვებული ნახველის ლაბორატორიაში ტრანსპორტირება უმოკლეს დროში უნდა უზრუნველყოს;

ტრანსპორტირებამდე ექთანმა ნახველი შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის და ჰიგიენური ნორმების დაცვით უნდა შეინახოს.

**წყაროები:**

Management of Tuberculosis Training for Health Facility Staff Second Edition, World health Organization, 2010

Collection and Transport of Tuberculosis Specimens, 2011

International Council of Nurses for Nurses in the Care and control of Tuberculosis and Multi-drug Resistant Tuberculosis 2nd ED 2008

Centers for Disease Control and Prevention “Guidelines for Preventing the Transmission of Mycobacterium tuberculosis in Health-Care Settings, 2005”

ტუბერკულოზის მართვის საერთაშორისო სტანდარტები; ჯანმო; 2006.